

ქ.თბილისი

2017 წლის 26 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 26 სექტემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათა უნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლაშა თავართქილაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქვა, ლევან ჩიკვაძე, ვახტანგ სამხარაძე, სულხან სულხანიშვილი.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს მეთვალყურეთა თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის ზ. ბაკურაძის ოქმი და მიმართვა, ვიდეომასალა და თანამსაჯის ლევან ადუაშვილის მიმართვა, I ლიგის კალენდარულ მატჩზე, კიკეთის „იუნკერები“-სა და თბ „ივერია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

შემდეგი დისციპლინარული დარღვევები :

1. კიკეთის „იუნკერები“-ს მწვრთნელი გიორგი ზაბახიძე - მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა.
2. კიკეთის „იუნკერები“-ს მორაგბე ზაალ ცერცვაძე - მსაჯების გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.4, 2.2.4 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კიკეთის „იუნკერები“-ს მწვრთნელი გ. ზაბახიძე დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით.
2. კიკეთის „იუნკერები“-ს მორაგბე ზ. ცერცვაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
3. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მის კლუბს დაეკისრება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
3. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 26 ოქტომბრამდე.
4. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ კიკეთის „იუნკერები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/